სკოლის გამოსაშვები გამოცდების დავალებათა ნიმუშები
ისტორია

1. **სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ბერძნული კოლონიზაცია?**

ა. კონფლიქტებმა პოლისებში
ბ. საერთაშორისო ვაჭრობის დაკნინებამ
გ. სპარსელთა შემოსევებმა
დ. მონოთეისტური კულტის გავრცელებამ

სწორი პასუხი: ა

2. **რა იყო სოლონის მიერ გატარებული რეფორმის ერთ-ერთი შედეგი?**

ა. ვალების გამო თავისუფალი ადამიანის მონად გაყიდვის აკრძალვა
ბ. ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება
გ. მოსახლეობის დანაწილება წარმოშობის მიხედვით
დ. უხუცესთა საბჭოს - გერუსიის ჩამოყალიბება

სწორი პასუხი: ა

3. **რა კონკრეტულ მიზანს ისახავდნენ II ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეები?**

ა. არაბთა მიერ დაპყრობილი ანტიოქიის საგრაფოს გათავისუფლებას
ბ. სელჩუკთა მიერ დაკავებული იერუსალიმის გამოხსნას
გ. მუსლიმთა მიერ მიტაცებული ედესის დაბრუნებას
დ. ეგვიპტის სულთნის მიერ შევიწროებული კილიკიის საჰერცოგოს დახმარება

სწორი პასუხი: გ

4. **რა ფაქტი მოუთითებს საქართველოში სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მცდელობაზე XII საუკუნის ბოლოს?**

ა. ყუთლუ არსლანის დასის მიერ ახალი სახელმწიფო ორგანოს დაარსების მოთხოვნა
ბ. სამეფო კარზე დაბალი წარმოშობის პირთა აღზევების გამო უკმაყოფილო დიდგვაროვანთა აჯანყება
გ. დიდებულთა მხრიდან დავით სოსლანის თანამოსაყდრედ გამოცხადების მცდელობა
დ. სამეფო სასამართლოს ნაცვლად უზენაესი სასამართლოს - სააჯო კარის დაარსება

სწორი პასუხი: ა

5. რა იყო XIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის საიმპერატორო კარზე არსებული შიდა დაპირისპირების ერთ-ერთი შედეგი?

ა. ოსმალებთან დამარცხება
ბ. ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება
გ. სელჩუკების მიერ აღმოსავლეთის პროვინციების დაპყრობა
დ. საეპისკოპოსოების დიდი ნაწილის იერუსალიმის მეფის დაქვემდებარებაში გადასვლა

სწორი პასუხი: ბ

6. ვისი მეფობის დროინდელი საქართველოს სამეფოა ასახული რუკაზე?

ალანები
ფერეიდანი
ტფილისი
ლეკეთი
ტრაპიზონის
იმპერია
ტრაპიზონი
ყარსი
ანისი
ბაქო
ერზინკანი
ვანი
ალატი
ვანის
ტბა
ბაქო
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიანი

8. **რა ფაქტი მიუთითებს გიორგი V-ის დროს საქართველოს გავლენისა და ავტორიტეტის ზრდაზე?**

ა. საქართველოს ეკლესიამ მსოფლიო საპატრიარქოთა დიპტიხტში მესამე ადგილი დაიკავა
ბ. ქართველებს დაუბრუნდათ მუსლიმთა მიერ მითითებული იერუსალიმის ჯვრის მონასტერი
გ. რომის პაპმა საქართველოს მეფეს მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა შესთავაზა
დ. საქართველომ შეძლო ოსმალთაგან მიტაცებული ტაო-კლარჯეთის დაბრუნება

სწორი პასუხი: ბ

9. **რომელი სახელმწიფოს ძლიერების ხანაა ასახული რუკაზე?**

ა. სეფიანთა ირანის
ბ. ოქროს ურდოს
გ. ოსმალთა იმპერიის
დ. სელჩუკთა სასულთნოს

სწორი პასუხი: გ

10. **რა გახდა პროტესტანტული მოძრაობის დაწყების უშუალო საბაბი გერმანიაში?**

ა. ინდულგენციებით ვაჭრობა
ბ. საეკლესიო გადასახადების გაზრდა
გ. პაპის გარდაცვალება
დ. განმანათლებლების მოღვაწეობა

სწორი პასუხი: ა

11. ვის დაევალა XVIII საუკუნის დასაწყისში "ქართლის ცხოვრების" რედაქტირება, გამართვა, ხელნაწერთა შეჯერება, გადამუშავება და გაგრძელება?

ა. "სწავლულ კაცთა კომისიას"
ბ. "უხუცესთა საბჭოს"
გ. "საქვეყნო გამრიგეთა ჯგუფს"
დ. "ჟამთააღმწერლებს"

სწორი პასუხი: ა

12. რომელ სახელმწიფოს მონარქის დასჯაა ასახული სურათზე?

ა. იტალიის

ბ. საფრანგეთის

გ. პრუსიის

დ. ესპანეთის



სწორი პასუხი: ბ

13. რომელია ნაპოლეონის ბრძოლა, რომლის სახელიც მარცხის სინონიმად იქცა?

ა. აუსტერლიცის
ბ. ვერდენის
გ. სადოვას
დ. ვატერლოოს

სწორი პასუხი: დ

14. რომელი მოსაზრებაა მართებული, 1848 წელს ევროპაში მომხდარი რევოლუციების შეფასებისას?

ა. რუსეთის დახმარებით რევოლუციური გამოსვლები ჩახშობილ იქნა გერმანიასა და ავსტრიაში, ხოლო საფრანგეთში ბურბონების დინასტია აღსდგა
ბ. ვერცერთ ქვეყანაში აჯანყებულმა რევოლუციონერებმა ვერ შეძლეს წარმატების მიღწევა, თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში სერიოზული ბრძოლებიც კი მიმდინარეობდა
გ. რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს მხოლოდ იტალიაში, ხოლო ბელგიაში, გერმანისა და ავსტრიაში ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიეს
დ. მხოლოდ საფრანგეთში აღმოჩნდა რევოლუცია წარმატებული, რასაც მონარქიის დამხობა და რესპუბლიკის გამოცხადება მოჰყვა

სწორი პასუხი: დ

15. რა სახით შეუწყო ხელი განვითარებული მრეწველობის არსებობამ ჩრდილოეთის შტატების გამარჯვებას აშშ-ის სამოქალაქო ომში?

ა. მოხდა მრეწველობაში დასაქმებული მრავალრიცხოვანი მონების ჯარში გაწვევა
ბ. ადვილად მოხერხდა ქვემეხებისა და თვითმფრინავების გამოშვების ორგანიზება
გ. მრეწველობაში დასაქმებული განათლებული ფერმერები კარგი ოფიცრები გახდნენ
დ. ჩრდილოელთა ჯარი კარგად მარაგდებოდა იარაღითა და ტყვია-წამალით

სწორი პასუხი: დ

16. რა იყო საფრანგეთ-პრუსიის ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი?

ა. გერმანიის იმპერიის შექმნა
ბ. ჩრდილო გერმანული კავშირის აღდგენა
გ. საფრანგეთში ბურბონთა დინასტიის რესტავრაცია
დ. საფრანგეთის მიერ ვენის კონგრესის ორგანიზაციის დატოვება

სწორი პასუხი: ა

17. რა სახით შეუწყო ხელი იტალიის გაერთიანებას კავურის მოღვაწეობამ?

ა. ხელშეკრულება გააფორმა რომის პაპთან და მისი სახელი, გავლენა და მფარველობა გამოიყენა ქვეყნის გასაერთიანებლად
ბ. ავსტრიასა და პრუსიასთან კოალიციის შექმნის შემდეგ ჩაება ომში საფრანგეთის წინააღმდეგ და შეიერთა ლომბარდია
გ. მან გააძლიერა პიემონტ-სარდინიის სამეფო, რომელმაც შეძლო სათავეში ჩადგომოდა ბრძოლას იტალიის გაერთიანებისათვის
დ. სიცილიის სამეფოს პრემიერ-მინისტრობის დროს დინასტიური ქორწინებების გზით შეძლო ქვეყნის გაერთიანება ერთი მეფის ირგვლივ

სწორი პასუხი: გ

18. რომელი მსჯელობაა მართებული „მორიგე ჯარის“ შემოღებასთან დაკავშირებით?

ა. მორიგე ჯარზე დაყრდნობით ერეკლე მეფემ დაიმორჩილა განჯისა და ყარაბაღის ხანები
ბ. მორიგე ჯარის გამოყენებით ერეკლე მეფემ საბოლოოდ დაამარცხა ქერიმ ხანი
გ. ასპინძის ომში წარმატებას ერეკლე მეფემ მორიგე ჯარის საშუალებით მიაღწია
დ. მორიგე ჯარის შემოღებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ლეკთა თარეში სამეფოში

სწორი პასუხი: დ

19. რამ განაპირობა სოლომონ II-ის უცხოეთში გახიზვნა?

ა. დასავლეთ საქართველოში მიმდინარე გლეხთა აჯანყებამ
ბ. შინაომში მოწინააღმდეგის, დავით გიორგის ძის გამარჯვებამ
გ. ოსმალთა მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობამ
დ. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში განცდილმა მარცხმა

სწორი პასუხი: დ

20. რომელ საერთაშორისო ორგანიზაციაში *<u>არ მიიღეს</u>* საქართველო 1920 წელს?

ა. ანტანტაში
ბ. ერთა ლიგაში
გ. თავისუფალ ერთა კავშირში
დ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

სწორი პასუხი: ბ

21. რაზე მიუთითებდა XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო საქმეთა რუსულ ენაზე წარმოება?

ა. დეკოლონიზაციის პროცესზე
ბ. განათლების დონის ამაღლებაზე
გ. რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმოებაზე
დ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაზე

სწორი პასუხი: გ

22. ძირითადად რა მიზნით გამოსცემდნენ თერგდალეულები ქართულ ჟურნალ-გაზეთებს?

ა. პირადი სამეწარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად
ბ. საკუთარი მოსაზრებების საზოგადოებისათვის გასაცნობად
გ. მათში განთავსებული რეკლამებიდან მოგების მისაღებად
დ. რევოლუციონერებისა და ამბოხებულების მხარდასაჭერად

სწორი პასუხი: ბ

23. 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზებთან დაკავშირებით, რომელი მოსაზრება *<u>არაა მართებული</u>*?

ა. საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ აჯანყებამდე ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი შეიარაღებული გამოსვლის შესახებ
ბ. დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების ემიგრაციაში წასვლამ ხელი შეუშალა აჯანყების მომზადებას
გ. საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა აჯანყების მზადებასთან დაკავშირებული არაერთი პირი
დ. აჯანყებულები შეუთანხმებლად მოქმედებდნენ

სწორი პასუხი: ა

24. *"მთელი რიგი დოკუმენტები დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ უიმედო ქართული აფეთქება შეკვეთილი, მომზადებული და მხარდაჭერილი იყო ბურჟუაზიული მთავრობების მიერ".*

რა მოვლენას გულისხმობს ამ სიტყვების ავტორი, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიჩერინი?

ა. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას
ბ. 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას
გ. 1924 წლის აჯანყებას საქართველოში
დ. 1937 წლის რეპრესიებს საქართველოში

სწორი პასუხი: გ

25. **ჩამოთვლილი მოსაზრებებიდან, რომელია მართებული რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან დაკავშირებით?**

ა. რუსეთის ეკლესიის სინოდს სურდა საქართველოში კათოლიკეთა გავლენის შემცირება
ბ. რუსეთის ბურჟუაზია საქართველოს ეკლესიის კუთვნილი მიწების ხელში ჩაგდებას გეგმავდა
გ. საიმპერატორო კარი ემზადებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებისთვის
დ. რუსეთის თავად-აზნაურობას საშუალება ეძლეოდა საქმიანობა საქართველოში გაეგრძელებინა

სწორი პასუხი: გ

26. რაში მდგომარეობს პოლიტიკური შარჟის იდეა?

ა. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის მიუხედავად სახელმწიფოები მაინც მეტოქეებად რჩებიან
ბ. ყველა არსებული ტოტალიტარული რეჟიმი მუდმივად ერთმანეთის მოკავშირეა
გ. კომუნიზმი და ნაციზმი ერთიდაიგივე იდეოლოგიის ორი კონკრეტული გამოვლინებაა
დ. მიუნხენის შეთანხმების პირობებმა ძველი მტრები აიძულა მცირე ხნით შერიგებულიყვნენ
სწორი პასუხი: ა

27. საფრანგეთის ისტორიის რა პერიოდს ასახავს პარიზის ერთ-ერთი ქუჩის ფოტო?

ა. დე გოლის მმართველობის
ბ. მეორე იმპერიის
გ. პირველი რესპუბლიკის
დ. ნაცისტური ოკუპაციის

სწორი პასუხი: დ

28. რა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა წარმოდგენილი პლაკატი?

ა. ომში გაიმარჯვა „ანტანტამ“
ბ. „ცივი ომი“ დამთავრდა
გ. ფრანკოს რეჟიმი განადგურდა
დ. სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთი მოკავშირეები არიან

სწორი პასუხი: დ

29. რა მოვლენას ეძღვნება პოლიტიკური შარჟი?



ა. სოციალისტური ბანაკის დაშლას
ბ. საერთაშორისო განიარაღებას
გ. გლობალიზაციას
დ. ცივ ომს

სწორი პასუხი: დ

30. რა მოვლენამ უბიძგა პიკასოს, შეექმნა ცნობილი ნახატი „გერნიკა“?

ა. გერნიკას საკონცენტრაციო ბანაკის ნახვამ
ბ. გერნიკას მემორიალური მუზეუმის მონახულებამ
გ. კომუნისტების მიერ გერნიკას სამონასტრო კომპლექსის დანგრევამ
დ. ფრანკისტების მოკავშირე გერმანელების ავიაციის მიერ ქალაქ გერნიკას დაბომბვა

სწორი პასუხი: დ